თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 12

ქ. თელავი 2018 წლის 16 აგვისტო

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე: დავით ღაღანიძე

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **გიორგი ჩაბრაშვილი, ზაქარია ყარასაშვილი, ლევან ოთიურიძე, ბესიკ ქოჩიშვილი, ვასილ არაბული, ალექსანდრე კუპატაძე, არჩილ თვალიაშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი ნანა ხვისტანი, საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიაში მოწვეული სპეციალისტი დავით ნუსხელიძე, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი ნუგზარ ბაჩიაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილების უფროსი დავით ქსოვრელიშვილი, ამავე სამსახურის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილების უფროსი სპეციალისტი გიორგი წიქარაძე, მოქალაქე არჩილ მჭედლიშვილი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ქ. თელავის მიწათსარგებლობითი გენერალური გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს. დ. ღაღანიძე

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის №01 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს. დ. ღაღანიძე

მოისმინეს:1. ქ. თელავის მიწათსარგებლობითი გენერალური გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: დავით ღაღანიძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით აქვს რიგი შენიშვნები, კერძოდ:

- ქ. თელავის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გეგმარებითი დავალება და ქ. თელავის ცენტრალური მოედნის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება არ არის შეთანხმებული საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან.
- ქ. თელავის ცენტრალური მოედნის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის მე-8 გვერდი 1. 2 ძირითადი ცნებები და განმარტებების მე-18 პუნქტით საპროექტო ტერიტორიაში იგულისხმება იყალთოს ხევის გეგმარებითი ტერიტორია. გაუგებარია რა კავშირშია წარმოდგენილ პროექტთან იყალთოს ხევის ტერიტორია.
- დაგეგმვის სახელმძღვანელო დოკუმენტებში გვერდი-14 სადაც მითითებულია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 ივნისის N1182 განკარგულება- ,,თელავის მუნიციპალიტეტის სოფ. იყალთოში იყალთოს ხევის განვითარებისათვის ზოგიერთ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე''
- დაგეგმვის ტერიტორიულ საზღვრებში არ არის მოქცეული 2011-2014 წლებში ქალაქის საკუთრებაში გადმოცემული მიწები. საჭიროა მოხდეს ჩამოთვლილი შენიშვნების გათვალისწინება;

  დავით ქსოვრელიშვილი დაეთანხმა მომხსენებელს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტი არ არის სრულფასოვანი და საჭიროა მისი შესწორება.

ნუგზარ ბაჩიაშვილმა აგრეთვე აღნიშნა, რომ დოკუმენტი შესასწორებელია. რაც შეეხება პროცესში მერიის ჩართულობას, როგორც მან განაცხადა მერიას მონაწილეობა არ მიუღია გეგმარებითი დავალების შედგენაში, რადგან ტენდერი გამოცხადებული ჰქონდა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს და დოკუმენტაციის შედგენაშიც სამინისტრო იყო ჩართული.

გადაწყვიტეს: ქ. თელავის მიწათსარგებლობითი გენერალური გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტი ზემოთჩამოთვლილი შენიშვნების გათვალისწინების მიზნით დაუბრუნდეს თელავის მუნიციპალიტეტის მერიას.

მოისმინეს: 2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის №01 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: მომხსენებელმა აღნიშნა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი პროექტი ეხება თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანას.

ბიუჯეტი განისაზღვრება 26617.45 ათასი ლარით.

პროექტის თანახმად შემცირდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა შენახვის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 193,073 ათ. ლარით.

მცირდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობის სამუშაოების არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 34.449 ათ.ლარით (ტენდერების შედეგების გათვალისწინებით)

იზრდება ბინათმშენებლობის ღონისძიებების სხვა ხარჯების მუხლი 79,45 ათ. ლარით ქ. თელავში ერეკლე მეორის გამზირზე N1-ში მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად.

იზრდება წყალომარაგების ღონისძიებების არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი, სულ 105,5 ათასი ლარით სოფ. ლეჩურში ჭაბურღილის მოსაწყობად.

იზრდება კეთილმოწყობის სამუშაოების საქონელი და მომსახურეობის მუხლი 14, 262 ათ. ლარით.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის №01 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის

ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტი წარედგინოს ბიუროს სხდომას განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარე _____ დავით ღაღანიძე